ხელშეკრულება საქონლის
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 38

ქ. ახმეტა 1აგვისტო 2014წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი: შპს ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური", დირექტორის ილია მაისურაძის სახით, შემდგომში წოდებული "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი.მ„ჯ.ზურაბაშვილი" ქ.ახმეტა, ხელმძღვანელის ჯ.ზურაბაშვილის სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **საწვავი (ბენზინი) კოდი 09100000**
/შესყიდვის ობიექტის სრული დასახელება/
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2. ხელშეკრულების ობიექტი

"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" დაკვეთილი საწვავი
/მომსახურების დასახელება, რაოდენობა, ხარისხი/
ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში---

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება: **01.08.2014წ.—31.08.2014წ.**

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. ახმეტა
/მისამართი/

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს"საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
-გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი,
-მიიღოს გაწეული მომსახურება
5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
-გაუუქმოს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისი ხარისხი შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
-გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში,
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს : **1000 (ათასი) ლარი**
(ფასდათმობების,გადასახადების,ტრანსპორტირების,დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით)

7.ფასები

7.1.
ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები,როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ.ინფლაციის მაღალი დონე,სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება,საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა)
გარდა ამისა,უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში ცვლილების გაანგარიშების წესი

8.ანგარიშსწორების პირობები

8.1.ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა
/გადარიცხვა,ინკასო ან სხვა/

8.2.ანგარშსწორების ვადა (გრაფიკი) მომსახურების შემდეგ
წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია). ანგარიშსწორება განვადებით.შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან დასაშვებია ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.

8.3.ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები
ანგარიშ-ფაქტურა
/ანგარიშ-ფაქტურა,მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ/

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

9.2.იმ შემთხვევაში,თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე
თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე. 10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს სპეციალისტი გ.ქინქლაძე

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **30.09.2014წ.**
/მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე,თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა/

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს ახმეტის მუნიც. კეთილმოწყობის
სამსახური"
ს/კ:224631646
სს „ლიბერთი ბანკის"ახმეტის ფილიალი
ა/ნ GE15LB0113113206732000
ქ.ახმეტა ჩოლოყაშვილის №50

„შემსყიდველი"

/ი.მაისურაძე/

/ /

"მიმწოდებელი
ი.მ. „ჯ. ზურაბაშვილი"
ს.კ. 08001022036
„ლიბერთი ბანკის" ახმეტის ფილიალი
ა.ნ. GE22LB0112137557603000
ქ.ახმეტა,რუსთაველის ქ.

„მიმწოდებელი"

/ჯ.ზურაბაშვილი/

/ ბ. ა. /